ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1819377

ნომერი: AR1298784

თარიღი : 01.04.2015

გაცემის თარიღი : 03.04.2015

გაცნობის თარიღი : 23.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარნეული , N 43 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზი მარგველანი პ/ნ 27001002912
- დ. ლენტეხი ი.ჭავჭავაძის ქ. N 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - დამხმარე - ტექნიკური ნაგებობები

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1298784 01.04.2015 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ #01.18.12.021.003 საკადასტრო ერთეულზე დამხმარე–ტექნიკური ნაგებობების რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დამხმარე ნაგებობის ასაშენებლად გაცემულია #555 02.05.2011 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, #01/1428 17.06.2011 ბრძანებით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და #ნ/1510–1 17.06.2011 ბრძანებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა. იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე თანდაპირველად უნდა წარმოადგინოთ შეთანხმებული დოკუმენტაციის საფუძველზე აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ექსპლუატაციაში მიღების ბრძანების ნომრის დაფიქსირებით. იმ შემთხვევაში თუ ობიექტი მშენებარეა და არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, შესაძლებელია განახორციელოთ შეთანხმებული პროექტის კორექტირება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ შეთანხმებული დოკუმენტაციის საფუძველზე მშენებლობა არ არის ნაწარმოები, შესაძლებელია მოითხოვოთ შეთანხმებული დოკუმენტაციის გაუქმება, რისთვისაც უნდა მოგვმართოს ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა ან მინდობილმა პირმა (ნოტარიული თანხმობის საფუძველზე) განაცხადი უნდა ატვირთოთ ვებ გვერდზე TAS.GE ელექტრონული განცხადებები – სამართლებრივი საკითხები–ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება. ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გასაცემად საკადასტრო გეგმაზე უნდა მონიშნოთ სარეკონსტრუქციო შენობა–ნაგებობები და სავალდებულო დაფა–ბანერის დახარვეზებულ ველში უნდა ატვირთოთ ბანერის ამსახველი ფოტო მასალა, ისე, რომ თვალსაჩინო იყოს ტექსტუალური ნაწილი, რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:
ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები;
საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.